ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-03230475-03
თარიღი: 16.02.2023 10:42
ვადა: 20.03.2023

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0123047211 განცხადების თარიღი: 16.02.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

---

## მოთხოვნის ტექსტი

2023 წლის 15 თებერვლის N23.177.202 განკარგულებით მოწონებული მტავრობის თანხმობები საკრებულოში გადასაგზავნი

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-03230475-03
16.02.2023 : 10:42
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-0123047211**
თარიღი: **16/02/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი N01230122632-67; N01230323924-67; N01230332212-67; N01230331551-67; N01230341642-67; N012303258-67; N01230391551-67; N01230402545-67; N01230371848-67; N01230393223-67 განცხადებებით მოთხოვნილია, ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2023 წლის 15 თებერვლის N23.177.202 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 თებერვლის N23.177.202 განკარგულება- 9 ფურცელი;

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - 9 ფურცელი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი - 9 ფურცელი;

4. მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტი სულ -27 ფურცელი.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 23.177.202**
**15 / თებერვალი / 2023 წ.**

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 12 იანვრის N01230122632-67 განცხადებით ეკა ედიშერაშვილმა (პ/ნ 01001040982) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ბ) 2023 წლის 1 თებერვლის N01230323924-67 განცხადებით ირაკლი მურღულიამ (პ/ნ:01024005288) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება;

გ) 2023 წლის 2 თებერვლის N01230332212-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) 2023 წლის 2 თებერვლის N01230331551-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

ე) 2023 წლის 3 თებერვლის N01230341642-67 განცხადებით ნინო ცხადაიამ (პ/ნ 42001039755) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ვ) 2023 წლის 1 თებერვლის N012303258-67 განცხადებით გიორგი საბაშვილმა (პ/ნ 59001021769) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ზ) 2023 წლის 8 თებერვლის N01230391551-67 განცხადებით ვერონიკა გაბრიაძემ (პ/ ნ N01301129539) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

თ) 2023 წლის 9 თებერვლის N01230402545-67 განცხადებით განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ი) 2023 წლის 6 თებერვლის N01230371848-67 განცხადებით ლუკა ჩაგანავამ (პ/ნ 01017043074) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) ძირითადი რუკით არსებლი სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

კ) 2023 წლის 8 თებერვლის N01230393223-67 განცხადებით ჯემალი ჩიკვაიძემ (პ/ ნ 01017057293) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღის" ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრსი დასახლებაში, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიაზე საავადმყოფოს მშენებლობა წარმოადგენს, რაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1) განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 15 თებერვლის N012304695 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებული შენობა-ნაგებობისა და ღობის მონაკვეთზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005) სამხრეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.10.10.003.005 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) მოთხოვნილია საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

ვინაიდან, საპროექტო არეალის დიდ ნაწილზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი.

ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდები: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად, 2023 წლის 1 თებერვლის N01230323924-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2023 წლის 9 თებერვლის N4 ოქმი), დიმიტრი უზნაძის N43-45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის სამხრეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდები: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) სამხრეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და მიმდებარედ, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ში მდებარე, N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008 საკადასტრო ერთეულების პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 თებერვლის N012304475 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული, N01.19.39.031.029 საკადასტრო ერთეულის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 თებერვლის N01230383783 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შედაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ღობის მოწყობა. მიწის ნაკვეთზე, რომლისთვისაც იგეგმება ღობის მოწყობა დგას შენობა-ნაგებობა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე-ნარგავები და რაიმე სახის გამწვანება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 10 თებერვლის N0123041979 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.15.07.016.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკკვეთის ძირითად ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ხოლო, მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტს N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით, N01.15.07.016.032 საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე გავრცელდა სატყეო ზონა, ხოლო მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). შესაბამისად, ტერიტორიას შეეზღუდა სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453169 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ

მიწის ნაკვეთზე, 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული კონტურის შესაბამისად, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (სატყეო ზონა) მოხსნა.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.15.07.002.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილბის მიზანს წარმოადგენს მასზე რეზო გაბრიაძის სახელობის არტ-ცენტრის დაარსება. გაბრიაძის საგანმანათლებლო არტ-ცენტრი იქნება უნიკალური სივრცე, სადაც გაერთიანდება შემოქმედებითი, რეკრეაციული და საგანმანათლებლო მიმართულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.16.03.039.020 საკადასრტო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღის დემონტაჟი და ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა.

ზემოაღნიშნული მოთხოვნით, 2022 წლის 28 ნოემბრის N66-01223321312 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირს - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ.

ამასთან, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია რეგისტრაციაზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე და არ ავიწროვებს ფაქტობრივად არსებული გზის პარამეტრებს, არ ზღუდავს საგზაო მოძრაობას და მისი გაუქმება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას მიმდებარე გარემო განაშენიანებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) მოთხოვნილია ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, აღნიშნული ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და ტერიტორიაზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453494 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის ჩრდილოეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ხარვეზის სახით რჩება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სა (სსზ-2) და არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) შორის სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდები: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) ჩრდილოეთით, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღის" ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება,

N01.20.01.093.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მასზე მკვეთი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება, რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის N01230402583 წერილის მიხედვით, მოთხოვნილი ცვლილებით არ მოხდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სიგანის არსებითი შემცირება და დარჩენილი პარამეტრი საკმარისი იქნება სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯეროვანი განვითარებისათვის.

ამასთან, სატრანსპორტო ზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციის დაცვისათვის, მიზანშეწონილია N01.20.01.093.067, N01.20.01.093.171 N01.20.01.093.038, N01.20.01.093.084 და N01.20.01.093.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტირებელ ტერიტორიის მცირე ნაწილზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გასწორდეს მათ საკადასტრო საზღვრებთან და ფაქტობრივად არსებულ გზასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღის" ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.20.01.093.038; N01.20.01.093.171, N01.20.01.093.067; N01.20.01.093.084, N01.20.01.093.070) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1)

საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ბ" ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ბ) ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

ე) ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთელის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

თ) ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ი) ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

კ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღის" ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.20.01.093.038; N01.20.01.093.171, N01.20.01.093.067; N01.20.01.093.084, N01.20.01.093.070) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

_____ 2023 წ. ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 15/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

ა) ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიაზე საავადმყოფოს მშენებლობა წარმოადგენს, რაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1) განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 15 თებერვლის N012304695 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებული შენობა-ნაგებობისა და ღობის მონაკვეთზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.10.10.003.005 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) მოთხოვნილია საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

ვინაიდან, საპროექტო არეალის დიდ ნაწილზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი.

ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული

ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად, 2023 წლის 1 თებერვლის N01230323924-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2023 წლის 9 თებერვლის N4 ოქმი), დიმიტრი უზნაძის N43-45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:N01.16.05.013.021; 01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008 საკადასტრო ერთეულების პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 თებერვლის N012304475 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა




არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი



# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 6**

**ადგილმდებარეობა**



დაინტერესებული პირი: გიორგი საბაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: ნოდარ გოგიაშვილი

მესაკუთრე: ნოდარ გოგიაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, აკაკი წერეთლის ქუჩა N 1-ის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032 ნაწილზე

მიზნობრიობა: ძველი გენ-გეგმის ზონირების დაბრუნება

https://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7688079-41.6853816@Z=19

განცხადების ნომერი: N012303258-67

**ფუნქციური ზონირება 2014-2018**



**არსებული ზონირება**



**მოთხოვნილი ზონირება**



მოთხოვნის ტექსტი: სატყეო ზონის (სატყეო) ცვლილება საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 444 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა-3 (რზ-3), საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

საკითხი 6

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
| --- | --- |
| **სატყეო ზონა**(სატყეო) (**444**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (**444**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** 2023 წლის 14 თებერვლის N 01230453169 წერილის მიხედვით სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე, წინამდებარე გენერალური გეგმით განსაზღვრული კონტურის შესაბამისად, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (სატყეო ზონა) მოხსნა.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია :** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# გამწვანების თემატური რუკა

საკითხი 6

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

საკითხი 7

## ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ვერონიკა გაბრიაძე

დამკვეთის ინფორმაცია: ვერონიკა გაბრიაძე

მესაკუთრე: შპს "რგთ"

მისამართი: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში

საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032

მიზნობრიობა: რეზო გაბრიაძის სახელობის არტ-ცენტრის დაარსება.

https://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.7695861-41.6861292@Z=17

განცხადების ნომერი: N01230391551-67

## ფუნქციური ზონირება 2014-2018



## არსებული ზონირება



## მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-ის ცვლილება სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 11357 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (11357კვ.მ) | **სპეციალური ზონა-1** (სპეცზ-1) (11357კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** არ საჭიროებს

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

საკითხი 8

## ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

დამკვეთის ინფორმაცია: სსიპ ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრე: ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეული

მისამართი: ქალაქი თბილისი, ჭალადიდის ქუჩა N 9

საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020

მიზნობრიობა: საბავშვო ბაგა-ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟისა და ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის მიზნობრიობით.

განცხადების ნომერი : N 01230402545-67

## ფუნქციური ზონირება 2014-2018



## არსებული ზონირება



## მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 556 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **საცხოვრებელი ზონა** (სზ) (**546**კვ.მ) | **სპეციალური ზონა-1** (სპეცზ-1) (**556**კვ.მ) |
| **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**10**კვ.მ) | |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** არ საჭიროებს

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

საკითხი 9

## ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ლუკა ჩაგანავა

დამკვეთის ინფორმაცია: ლუკა ჩაგანავა

მესაკუთრე: შპს "მატერიკი„

მისამართი: გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი : N01.19.32.001.121, 01.19.32.001.122 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება

https://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.9187888-41.6631455@Z=20

განცხადების ნომერი: N01230371848-67

## ფუნქციური ზონირება 2014-2018



## არსებული ზონირება



## მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სამრეწველო ზონა-1 (ს-1)-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა- 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ით;
ცვლილების საერთო ფართობი: 4907 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-1 (ს-1), სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)

# ზონირების ბალანსი



| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სამრეწველო ზონა-1** (ს-1) (**4907**კვ.მ) | **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2** (სსზ-2) (**4800**კვ.მ) |
| | **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**107**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** 2023 წლის 14 თებერვლის N01230453494 წერილის შესაბამისად თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენა (რზ-2).

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

საკითხი 9

# გამწვანების თემატური რუკა

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა



## ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ჯემალი ჩიკვაიძე

დამკვეთის ინფორმაცია: მანანა თოიძე

მესაკუთრე: მანანა თოიძე

მისამართი: ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, ე. წ. "ვაშლის ბაღი"-ს ტერიტორია

საკადასტრო კოდი : N01.20.01.093.038; N01.20.01.093.171, N01.20.01.093.067; N01.20.01.093.084, N01.20.01.093.070) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

მიზნობრიობა: სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გასწორება ფაქტობრივად არსებულ გზასთან

https://maps.tbilisi.gov.ge/#/C=44.6966122-41.6943678@Z=19

განცხადების ნომერი: N01230393223-67

### ფუნქციური ზონირება 2014-2018



### არსებული ზონირება



### მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-ით
ცვლილების საერთო ფართობი: 151 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

# ზონირების ბალანსი

| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| **სატრანსპორტო ზონა-1** (ტზ-1) (**151**კვ.მ) | **საცხოვრებელი ზონა-1** (სზ-1) (**151**კვ.მ) |

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია:** არ საჭიროებს

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია:** 2023 წლის 9 თებერვლის N01230402583 წერილის შესაბამისად შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 12 იანვრის N01230122632-67 განცხადებით ეკა ედიშერაშვილმა (პ/ნ:01001040982) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ბ) 2023 წლის 1 თებერვლის N01230323924-67 განცხადებით ირაკლი მურღულიამ (პ/ნ:01024005288) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება;

გ) 2023 წლის 2 თებერვლის N01230332212-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) 2023 წლის 2 თებერვლის N01230331551-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

ე) 2023 წლის 3 თებერვლის N01230341642-67 განცხადებით ნინო ცხადაიამ (პ/ნ:42001039755) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ვ) 2023 წლის 1 თებერვლის N012303258-67 განცხადებით გიორგი საბაშვილმა (პ/ნ:59001021769) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ზ) 2023 წლის 8 თებერვლის N01230391551-67 განცხადებით ვერონიკა გაბრიაძემ (პ/ნ:N01301129539) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

თ) 2023 წლის 9 თებერვლის N01230402545-67 განცხადებით განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ი) 2023 წლის 6 თებერვლის N01230371848-67 განცხადებით ლუკა ჩაგანავამ (პ/ნ:01017043074) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) ძირითადი რუკით არსებლი სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

კ) 2023 წლის 8 თებერვლის N01230393223-67 განცხადებით ჯემალი ჩიკვაიძემ (პ/ნ: 01017057293) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღი"-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

**საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:**

ა) ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიაზე საავადმყოფოს მშენებლობა წარმოადგენს, რაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1) განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 15 თებერვლის

N012304695 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებული შენობა-ნაგებობისა და ღობის მონაკვეთზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.10.10.003.005 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) მოთხოვნილია საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

ვინაიდან, საპროექტო არეალის დიდ ნაწილზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი.

ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის 61-ე მუხლის

მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად, 2023 წლის 1 თებერვლის N01230323924-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2023 წლის 9 თებერვლის N4 ოქმი), დიმიტრი უზნაძის N43-45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:N01.16.05.013.021; 01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და მიმდებარედ

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008 საკადასტრო ერთეულების პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 თებერვლის N012304475 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსეფული N01.19.39.031.029 საკადასტრო ერთეულის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 თებერვლის N01230383783 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შედაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ღობის მოწყობა. მიწის ნაკვეთზე, რომლისთვისაც იგეგმება ღობის მოწყობა დგას შენობა-ნაგებობა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე-ნარგავები და რაიმე სახის გამწვანება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 10 თებერვლის N0123041979 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.15.07.016.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკკვეთის ძირითად ნაწილზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ხოლო, მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტს №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით, N01.15.07.016.032 საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე გავრცელდა სატყეო ზონა, ხოლო მცირე ნაწილზე -

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). შესაბამისად ტერიტორიას შეეზღუდა სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453169 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე, 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული კონტურის შესაბამისად, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (სატყეო ზონა) მოხსნა.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.15.07.002.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილბის მიზანს წარმოადგენს მასზე რეზო გაბრიაძის სახელობის არტ-ცენტრის დაარსება. გაბრიაძის საგანმანათლებლო არტ-ცენტრი იქნება უნიკალური სივრცე, სადაც გაერთიანდება შემოქმედებითი, რეკრეაციული და საგანმანათლებლო მიმართულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.16.03.039.020 საკადასრტო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღის დემონტაჟი და ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა.

ზემოაღნიშნული მოთხოვნით, 2022 წლის 28 ნოემბრის N66-01223321312 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირს - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ.

ამასთან, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია რეგისტრაციაზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე და არ ავიწროვებს ფაქტობრივად არსებული გზის პარამეტრებს, არ ზღუდავსს საგზაო მოძრაობას და მისი გაუქმება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას მიმდებარე გარემო განაშენიანებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) მოთხოვნილია ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, აღნიშნული ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და ტერიტორიაზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453494 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაცო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სა (სსზ-2) და არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) შორის სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) ჩრიდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღი"-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება,

N01.20.01.093.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მასზე მკვეთი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება, რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის N01230402583 წერილის მიხედვით, მოთხოვნილი ცვლილებით არ მოხდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სიგანის არსებითი შემცირება და დარჩენილი პარამეტრი საკმარისი იქნება სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯეროვანი განვითარებისათვის.

ამასთან, სატრანსპორტო ზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციის დაცვისათვის, მიზანშეწონილია N01.20.01.093.067, N01.20.01.093.171 N01.20.01.093.038, N01.20.01.093.084 და N01.20.01.093.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტირებელ ტერიტორიის მცირე ნაწილზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გასწორდეს მათ საკადასტრო საზღვრებთან და ფაქტობრივად არსებულ გზასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღი"-ს ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038; N01.20.01.093.171, N01.20.01.093.067; N01.20.01.093.084, N01.20.01.093.070) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ბ" ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის

2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ბ) ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

ე) ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთელის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

თ) ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ი) ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

კ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღი"-ს ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038; N01.20.01.093.171, N01.20.01.093.067; N01.20.01.093.084, N01.20.01.093.070) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე